კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 95 (13777) | შაბათი, 22 აპრილი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 97 წლისთავია

ლენინური შუქი გზას გვინათებს!

ბრძოლა ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

ფინ. ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ზეიმისათვის ბრძოლაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1967 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინებანი **და დაადგინეს 1967 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:**

1. **ბუდკერს** გერშ იცკას-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, **ნაუმოვს** ალექსი ალექსანდრეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სამუშაოს ხელმძღვანელებს, **სკრინსკის** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, **სიდოროვს** ბენიამინ ალექსანდრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **პანასიუკს** ვადიმ სიმონის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიათა გამგეებს — ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის კვლევაში შემხვედრი კონების მეთოდის შემუშავებისათვის.

2. **ლიფშიცს** ილია მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს — ლითონთა ელექტრონული ენერგეტიკული სპექტრის კვლევისათვის.

3. **ფლეროვს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ლაბორატორიის დირექტორს, **დრუინს** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ჯგუფის ხელმძღვანელს, **ზვარას** იგორს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, განყოფილების ხელმძღვანელს, **პოლიკანოვს** სერგი მიხეილის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის დირექტორის მოადგილეს, ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის თანამშრომლებს — ტრანსურანული ელემენტების თვისებათა სინთეზისა და კვლევისათვის.

4. **მანინს** იური ივანეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს — ალგებრულ მრუდთა და აბელის მრავალსახეობათა თეორიაში 1959-1963 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლისათვის.

5. **ნოვიკოვს** სერგი პეტრეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს — დიფერენციალებად

(დასასრული მე-2 გვერდზე)



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

(სურათი გადაღებულია 1922 წლის 4 ოქტომბერს).

ლენინის სახელით!

აპრილია. ბუნება ყვავილებით მორთული ზეიმობს გაზაფხულს. ყველგან და ყველაფერში იღვიძებს, ჩქეფს სიცოცხლე, ბელტი ბელტზე ბრუნდება, ხარაჩოს ხარაჩო ემატება, აგურს — აგური!.. საბჭოთა ადამიანის აზრი და გენია ყველგან იღვწის, ყველგან ქმნის ახალ ცხოვრებას ელენინოდ, მაგრამ ლენინურად!

და დღეს, 1967 წლის 22 აპრილს, როცა მთელი ქვეყანა ემზადება კაცობრიობის გაზაფხულის დაწყების 50 წლისთავის აღსანიშნავად, საბჭოთა ადამიანები თავიანთ მიღწევებს, თავიანთ მომავალ აზრებს უკავშირებენ დიდი ლენინის სახელს, რომელიც ამ დღეს დაბადა.

ლენინი! ეს სახელი ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ქმნიდა რევოლუციონერთა პარტიას, ახალი ტიპის პარტიას, კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას. ბელადი ჯერ კიდევ მაშინ ამბობდა პროლეტარიატის პარტიაზე: „ამ არმიას ვერ გაუძლებს ვერც რუსეთის თვითმპყრობელობის მიხრწნილი ძალაუფლება და ვერც საერთაშორისო კაპიტალის მიხრწნის გზაზე დამდგარი ძალაუფლება“.

ლენინი! ეს სახელი ჟღერდა 1917 წლის 3 აპრილს რევოლუციურ პეტროგრადში, როცა გაისმა ჭაშნისი ავტომობილიდან ბელადის სიტყვები: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

ლენინი! ეს სახელი რევოლუციურ ენერგიასა და უჩვეულო რწმენას ამლევდა მასებს, როცა ეცნობოდნენ ბელადის აზრებს პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმაზე. ბელადი „აპრილის თეზისებში“ წერდა: „პარლამენტარული რესპუბლიკა კი არა...—არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე“.

ლენინი! ეს სახელი აზანზარებდა 1917 წლის ივნისში სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების I ყრილობის დარბაზს, როცა დროებითი მთავრობის მინისტრის განცხადების საპასუხოდ გაისმა ბელადის სიტყვები: „არის ასეთი პარტია!“ ბოლშევიკების პარტია, თქვა ვ. ი. ლენინმა, ყოველ წუთს მზად არის მთლიანად აიღოს ხელში ძალაუფლება.

ლენინი! ეს სახელი შეუერთდა დიად ოქტომბერს, როცა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე გაისმა ბელადის სიტყვები: „ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა... ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოკუეს სოციალიზმის გამარჯვება“.

ლენინი! ეს სახელი აღფრთოვანებდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელებს უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი უნერგავდა მუშებსა და გლეხებს ღრმა პატრიოტიზმის გრძნობას, მამაცობას, გამბედაობას, სიძულვილს მტრების წინააღმდეგ. „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, — ამბობდა ლენინი, — რომლის მუშათა და გლეხთა ყმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას“.

ლენინი! ეს სახელი არასოდეს არ დაავიწყდებათ სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის დელეგატებს. ჩვენი ქვეყნის უფროსი თაობის ადამიანებს, სწორედ ამ ყრილობაზე ლენინმა წამოაყენა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა — სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის შექმნის გეგმა. „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება კლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“ — ამბობდა ბელადი ყრილობაზე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა ხოცი შეასხეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმას და გადაქციეს სსრ კავშირი მძლავრ ინდუსტრიალურ ქვეყნად. ახლა საბჭოთა სახელმწიფო ამაყობს თავისი მრავალდარგოვანი და მსოფლიოში მოწინავე მრეწველობით.

ლენინი! ეს სახელი ერთ-ერთ ადგილზე ამ ... ...

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1967 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

(დასასრული)

მრავალსახეობათა შესახებ 1964-1966 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლისათვის.

6. **ორლოვს** იური ალექსანდრეს-ძეს, აკადემიკოსს, **სოკოლოვს** ბორის სერგის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **რუფენცევს** ვასილ ერმილეს-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **მარკოვსკის** ბორის პავლეს-ძეს, გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს — 1954-1964 წლებში გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „პალეონტოლოგიის საფუძვლები" (15 ტომად).

7. **გლაზატოვს** პავლე თევდორეს-ძეს, ბიუროს უფროსის მოადგილეს, **პრიხოდკოს** აპოლინარი ნიკოლოზის-ძეს, **ტიუტკოვს** ვლადიმერ დიმიტრის-ძეს, განყოფილებათა უფროსებს, **მარკოვს** მიხეილ ნიკიტას-ძეს, განყოფილების უფროსის მოადგილეს, მებამბეობის მანქანების სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებს, **კუჩიევს** ჯავატს, შუა აზიის მანქანათგამოსაცდელი სადგურის „მალეკის" საცდელი მეურნეობის სატრაქტორო-კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, **ახუნოვას** ტურსუხოის, ტაშკენტის ოლქის იანგიულის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირს — ბამბასაკრეფი ვერტიკალურ-შპინდელური ორმწკრივა მანქანისათვის, მანქანათა კონსტრუქციის შემუშავების, სერიული წარმოებისა და სოფლის მეურნეობაში დანერგვისათვის.

8. **კერესელიძეს** შალვა იასონის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სამუშაოს ხელმძღვანელს, **ნასარიძეს** დავით სერგის-ძეს, **ოგანეზოვს** გიორგი ოგანეზის-ძეს ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიათა უფროსების მოადგილეებს, **ჭეიშვილს** თეიმურაზ ალექსანდრეს-ძეს, განყოფილების უფროსს, **ედიბერიძეს** გივი კონსტანტინეს-ძეს, განყოფილების უფროსის მოადგილეს, **დარჯანიას** შალვა ელიზბარის-ძეს, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეს, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებს — ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის პროცესის მექანიზაციის დარგში ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

9. **ლიასს** აბრამ მოსეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **ბორსუკს** პავლე ათანასეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, **დოლბენკოს** ევგენი ტიხონის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სამხრეთ ურალის მანქანათამშენებელო ქარხნის ყოფილ მთავარ მეტალურგს, **ონუფრიევს** ინოკენტი ალექსანდრეს-ძეს, მოსკოვის თუჯსამსხმელო ქარხნის „სტანკოლიტის" ყოფილ მთავარ ინჟინერს, **ტკაჩენკოს** ანდრია საფრონის-ძეს სერგო ორჯონიკიძის სახელობის მეტალურგიული ქარხნის „ზაპოროჟსტალის" საამქროს უფროსს, **რიუკოვს** ივანე ვასილის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ხარკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს — სამსხმელო წარმოების — თხევადი თვითმყარებადი ნარევებისაგან ღეროებისა და ფორმების დამზადების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

10. **კოროტკოვს** ალექსი ანდრიას-ძის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, **კროლს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს, საბჭოთა კავშირის აკადემიკოს ს. ვ. ლებედევის სახელობის სინთეზური კაუჩუკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **კოროტკევიჩს** ბორის სერგის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სინთეზური კაუჩუკის მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს, **ნემცოვს** მარკ სიმონის-ძეს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, საბჭოთა კავშირის ნავთობქიმიური პროცესების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, **ვინოგრადოვს** პეტრე ანდრიას-ძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს, იაროსლავლის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის ლაბორატორიის უფროსის მოადგილეს, **ანოსოვს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს, ეფრემოვის აკადემიკოს ს. ვ. ლებედევის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის ლაბორატორიის უფროსის მოადგილეს — რეგულარული კაუჩუკების შექმნასა და მათი სამრეწველო მიღების ტექნოლოგიაში ნაშრომთა კომპლექსისათვის.

11. **ევსტრატოვს** ვასილ თევდორეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სალტეების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, **პინეგინს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს, **სელეზნევს** ივანე ივანეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, ამავე ინსტიტუტის განყოფილებათა უფროსებს, **გოლოულინას** გალინა პავლეს ასულს, კიროვის სალტეების ქარხნის მთავარ ინჟინერს, **გოლოშუმოვს** ნიკოლოზ სტეფანეს-ძეს, ამავე ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს — კარკასში მერიდიანულად მიმართული კორდის ძაფებიანი სატვირთო ავტომობილების სალტეების კონსტრუქციათა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში 1967 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგენებანი და დაადგინეს 1967 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

1. **სვეტლოვს** მიხეილ არკადის-ძეს, პოეტს — წიგნისათვის „ბოლო წლების ლექსები".

2. **კარაევს** კარა აბულფაზ-ოღლის — კომპოზიტორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — ბალეტ „ქუხილის ბილიკით" მუსიკისათვის.

3. **მოისეევს** იგორ ალექსანდრეს-ძეს, ბალეტმეისტერს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 1965 წლის საკონცერტო პროგრამისათვის.

4. **პიმენოვს** იური (გიორგი) ივანეს-ძეს, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარს — სურათების სერიისათვის „ახალი უბნები".

5. **სიმონოვს** რუბენ ნიკოლოზის-ძეს, რეჟისორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — ეგგ. ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში კლასიკური და საბჭოთა დრამატურგიის პიესების დადგმისათვის.

ერთ-ერთ ბრიგადასთან

ბრიგადირი ბაბალეტაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის **მექანიზაციისა** და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი **დიდი** აღფრთოვანებით შეხვდა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" ავტორებისათვის ლენინური პრემიის მინიჭების ცნობას. შესანიშნავი სარჩეკარია საბჭოთა ხელისუფლების 50-ე წლის თავზე. ამ სიხარულს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ რესპუბლიკის ყველა მშრომელი იზიარებს, რადგან იგი ქართველი ხალხის აზროვნებისა და შემოქმედების კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ჩაის მოვლა-მოყვანა მძიმე დ. შრომატევადი საქმეა. ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლასა და აღებაზე 500 კაცდღე იხარჯება, აქედან 60-70 პროცენტი მარტო კრეფაზე მოდის. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამჟამად საქართველოში ჩაის პლანტაციები 62 ათას ჰექტარს აღემატება, ნათლად წარმოვიდგენთ, თუ რაოდენ შრომას ეწევიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის პრობლემაზე მრავალი ქვეყნის მეცნიერები მუშაობდნენ წლების განმავლობაში. მაგრამ ამ მეტად ძნელი საკითხის გადაწყვეტა, ჩვენდა სასიხარულოდ, ჩილად ხედა ქართველ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს.

ქართველი სპეციალისტები ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **შ. კერესელიძის** ხელმძღვანელობით ქმნიდნენ **და** ამუშავებდნენ ჩაის მექანიზებული კრეფის თეორიულ პრინციპებს და სათანადო ტექნიკურ საშუალებას ეძებდნენ. კონსტრუქციული **სრულყოფისა** და დახვეწა **შემდეგ** შეიქმნა მსოფლიოში პირველი **ჩაის** საკრეფი მანქანა „საქართველო".

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეჩაიეებს აქვთ შესანიშნავი, მათთვის ესოდენ საოცნებო საკრეფი მანქანა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს **შრომას** და ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

სახელმწიფო გამოცდის მონაცემებით ერთი მანქანა „საქართველო" ცვლის 30-40 მკრეფავს და სეზონში 10-15 ჰექტარ პლანტაციას ემსახურება. გასულ წელს „საქართველოთი" მოკრეფილი იყო 10.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. შარშან მანქანები მუშაობდნენ რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობაში. უახლოეს პერიოდში „საქართველო" მოემსახურება კოლმეურნეობებს არა მარტო ჩვენში, არამედ აზერბაიჯანსა და ჩრდილოდარის მხარეში, „საქართველოთი" დაინტერესდნენ ამერიკასა და იაპონიაში, ინდოეთსა და ცეილონში...

ჩაის **საკრეფ** მანქანა „საქართველოზე" და მის ავტორთა კოლექტივზე, მათ დიდ **გამარჯვებაზე** ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოპულარობა, რომლითაც მანქანა მეჩაიეთა შორის სარგებლობს, მის მაღალ ღირსებაზე ლაპარაკობს.

დღეს საქართველოს მეჩაიეებს აქვთ შესანიშნავი მანქანა, რომელიც მათს შრომას აადვილებს. ამაზე თამობები ოცნებობდნენ, და როდესაც საამაყო და სასიხარულოა „საქართველოს" ავტორთა გამარჯვება და ეს ღირსეული ჯილდო, რომელიც მათ დიმსახურეს.

სულით **და** გულით ვეუერთდებით ყველას, ვინც დღეს ამ გამარჯვებას ჩვენთან ერთად იზიარებს. ვუსურვებთ „საქართველოს" ავტორთა კოლექტივს კიდევ მრავალ შრომითს გამარჯვებას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პროფესორი ჯ. მეტრეველი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

მაგ გამარჯვება!

მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანის შემქმნელებს ვულოცავ დიდ წარმატებას — ლენინური პრემიის მიღებას. ეს მოსალოცია არა მარტო იმიტომ, **რომ** თქვენ პირველმა შესძელით ასეთი რთული მანქანის შექმნა, არამედ იმიტომაც, **რომ** ეს მანქანა ყველაზე მეტად სჭირდება ამჟამად ჩვენს რესპუბლიკას ჩაის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის და მეჩაიეთა შრომის გასაადვილებლად.

გისურვებთ, ჩვენო **წარჩინებულო მეცნიერებო** და კონსტრუქტორებო, **რომ** თქვენი შრომა მომავალშიც ასევე **სასაოგებლო** ყოფილიყოს **ჩვენი ხალხისათვის.**

რ. დვალი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ეს შენ ხარ, ლენინ!

სოკეთის მოესავს, სიცოცხლის მოესავს,
თვით ცაზე მაღალს, დიდ მთებზე დიადს,
თვითონ სიცოცხლეს რომ აძლევს მზესაც,
თვით ვარსკვლავეთშიც სიცოცხლე მიაქვს,
ყველგან რომ ხვდება, ყველგან რომ დადის.
დადის და დააქვს ფიქრები დიდი
ჩვენი ოცნების აზრი და მადლი,
ჩვენი ძმობის და მიზნების ხიდი,
ეს შენ ხარ, ლენინ! ეს შენ ხარ მხოლოდ —
კაცი მომცემი ძალის და რწმენის,
ჩვენი სიცოცხლის თავი და ბოლო,
ჩაუქრობელი ნათელი ჩვენი.

რა დაბერებს ამ მთებს, ამ მიწას —
არ ბერდებიან მთები, მიწები.
ჩვენს დიდ საფიცარს, ჩვენს მზედ საფიცარს
სულ გეფიცებით — სულ დავიწყებით
და დიდ სიცოცხლეს ვაცოცხლებთ ისევ.
მხარიმხარ მიგვაქვს მართალი სიტყვა.
ჩვენ წინ მიგვყავხარ სიცოცხლე მზისა
და ის მზე შენი ხელებით მიგვაყავს.
ანდამატივით გულს რომ იზიდავ
კაცი, მომცემი ძალის და რწმენის,
კაცი, ნათელი პიტალო კლდიდან,
ჩაუქრობელი ნათელი ჩვენი.

აგიზგიზებულ ცეცხლს რა ჩააქრობს,
ზღვას რა დაუშრობს, ფიქრს რა გამოლევს,
თუკი გული გვაქვს მხნე და ჩაუკი,
თუ გულით გვიყვარს ჩვენი მამული.
არ დაშრებიან ზღვები არასდროს,
სულ აგიზგიზებს ცეცხლი სიცოცხლის.
ჩვენ ვართ სამშობლოს ფარ-მუზარადი...
მზე გვაშუქა და ცეცხლი ვინც მოგვცა —
ეს შენ ხარ, ლენინ! ეს შენ ხარ მხოლოდ
კაცი მომცემი ძალის და რწმენის,
ჩვენი სიცოცხლის თავი და ბოლო,
ჩაუქრობელი ნათელი ჩვენი.

ევგენი გართაია.

ლენინური პრემია — „საქართველოს"

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროფილის განსაზღვრელ კულტურათა შორის წამყვანი ადგილი ჩაის კულტურას უჭირავს. რევოლუციამდელ რუსეთში ამ მნიშვნელოვან კულტურას ყურადღება არ ექცეოდა. მეფის ხელისუფლება ყოველწლიურად ჩაის იმპორტზე 60 მილიონ მანეთს ხარჯავდა ოქროთი.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ყოველწლიურად იზრდება პლანტაციების არა მარტო ფართობი, არამედ მოსავლიანობაც. დღეისათვის საბჭოთა კავშირის ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის 86 და ჩაის წარმოების 97 პროცენტი საქართველოზე მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ჩაის ძირითადი მწარმოებელი ქვეყანა საქართველოა.

ჩაის კულტურა ჭეშმარიტად ეროვნულ კულტურად იქცა. საქართველოს ჩაის პროდუქცია თავისი არომატით და სხვა თვისებებით მსოფლიოში საუკეთესოა. ამიტომ არის, რომ ქართული ჩაი დიდი პატივისცემით სარგებლობს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. დიდია სიყვარული ჩაის კულტურისადმი. ჩვენი ხალხი გმირულ შრომას ეწევა მისი მოვლა-პატრონობისთვის.

სოფლის მეურნეობის ყველა სხვა კულტურებისაგან განსხვავებით ჩაი თითქმის მთელი წლის განმავლობაში მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, განსაკუთრებით კრეფის სეზონში. იგი-კონვეიერულ შრომას საჭიროებს. ფოთოლი დროზე, ყოველგვარ ამინდში უნდა მოიკრიფოს, მოკრეფილი ფოთოლი დროულად უნდა ჩაბარდეს ფოთლის გადამამუშავებელ ფაბრიკებს. ცოტაოდენი დაყოვნება იწვევს ხარისხის გაუარესებას, რაც დიდ ზარალთან არის დაკავშირებული.

ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი პირდაპირ განსაცვიფრებელ დონეს აღწევენ ჩაის ფოთლის კრეფის დახელოვნების საქმეში. მხოლოდ დიდ ენთუზიაზმს შრომაში და საქმისადმი დიდ სიყვარულს შეუძლია წარმოშვას ისეთი ნოვატორები და გმირები, რომლებიც ფოთლის კრეფის მხრივ მსოფლიოში გაუგონარ მაჩვენებლებს აღწევენ.

ცნობილია, რომ ფოთლის მოსავლიანობის ზრდა პირველ რიგში პლანტაციების მოვლა-პატრონობაზეა დამოკიდებული. ამ საქმეში დიდია ღვაწლი ჩვენი სახელოვანი მეცნიერებისა, რომლებმაც დაამუშავეს ნიადაგის მომზადების, პლანტაციების მოვლის მოწინავე ღონისძიებები. ასევე დიდია ღვაწლი იმ მეჩაიეებისა, რომლებიც განუხრელად ნერგავენ მეცნიერების მიღწევებს და თვითონაც ახალი მონაცემებით ამდიდრებენ მეცნიერულ ღონისძიებებს.

ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ პარტია და მთავრობა ჩაის წარმოების გადიდების საქმეს. ჭეშმარიტად დიდი ღონისძიებები განხორციელდა ჩაის წარმოების იმ ზომით გაფართოებისათვის, რომ უახლოეს პერიოდში უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების ჩაით. ეს ძირითადი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს საქართველოს სსრ რესპუბლიკამ, როგორც ჩაის ძირითადმა მწარმოებელმა. სახალხო მეურნეობის 1965-1970 წლების გეგმის მიხედვით სსრ კავშირში ჩაის პლანტაციების ფართობი 80.000 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს. აქედან საქართველოში პლანტაციების ფართობი მიაღწევს 70.000 ჰექტარს. მკვეთრი ღონისძიებებია დასახული ჩაის მოსავლიანობის განუხრელი ზრდისათვის. დასახული ღონისძიებანი უნდა შესრულდეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით, კერძოდ, აგროტექნიკური ღონისძიებათა დროულად და ხარისხიანად შესრულების შედეგად, სასუქების სათანადო დოზებით შეტანის, მელიორაციისა და მექანიზაციის ფართოდ გამოყენების გზით.

ისიც ცნობილია, თუ რა შრომატევადი დარგია ჩაის წარმოება. მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ამის დადასტურებაა ის, რომ დანახარჯთა სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ხელფასზე მოდის. ამ დარგის სპეციალისტთა გაანგარიშებით ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლა-პატრონობაზე წლიურად 400 კაცდღეა საჭირო. მარტო ფოთლის კრეფაზე ყოველწლიურად იხარჯება 300-350 კაცდღე. ამ ციფრის გაანგარიშება ფართობის ერთეულზე დახარჯულ კაცდღეთა უდიდეს რაოდენობამდე მიგვიყვანს.

თუ ამას დავუმატებთ იმ სპეციფიკურობას, რომ შრომის დანახარჯის უდიდესი ნაწილი მაისსა, ივნისსა, ივლისსა და აგვისტოზე მოდის, მაშინ უფრო ცხადი გახდება ის სიძნელეები, რაც ფოთლის კრეფას ახლავს არსებული მუშახელის რაციონალურად გამოყენების საქმეში.

თუ აგრეთვე გავითვალისწინებთ, რომ პლანტაციების ფართობი მომავალში გაიზრდება 80.000 ჰექტარამდე, მაშინ მარტო ფოთლის კრეფის პერიოდი საჭირო იქნება 21 მილიონამდე კაცდღის დახარჯვა. ეს კი უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამას ისიც ემატება, რომ ფოთლის კრეფა მეტად მძიმე შრომას მოითხოვს, ისიც ყოველგვარ ამინდში — წვიმაში თუ ქარში.

მრავალი ქვეყნისა და მეცნიერის აზრი და გონება დაძაბულად ეძიებდა ჩაის კრეფის მექანიზაციის პრობლემის გადაწყვეტის გზებს, მაგრამ რადგან ფოთლის კრეფის მექანიზაცია ურთულეს პირობებთან და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ყველა ღონისძიება განუხორციელებელი რჩებოდა.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია უცხოელი მეცნიერების მოსაზრებანი და შეხედულებანი ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხების შესახებ. 1936 წელს უცხოეთიდან ჩამოსული მეცნიერი დოქტორი მანი აღნიშნავდა, ყველაფრის მექანიზაცია შეიძლება, ჩაის ფოთლის კრეფისა კი არასოდესო.

უცხოელი მეცნიერის ასეთი მკვეთრი უარყოფითი პასუხი ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხთან დაკავშირებით იმ დიდი სიძნელეებით უნდა აიხსნას, რაც ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციას ახლავს ჩაის ბუჩქის აღნაგობასთან და სხვა ბიოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით. ამ სიძნელეთა გადალახვა მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა მეცნიერებმა შეძლეს. ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერ-კონსტრუქტორებმა არ დაზოგეს ძალა, ენერგია და მომზადება ამ ეპოქალური, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემის გადასაწყვეტად. უნდა ვთქვათ, რომ მათმა დაუღალავმა და ბეჯითმა შრომამ სათანადო შედეგიც გამოიღო. სწორედ საბჭოთა კავშირში, ჩაის მწარმოებელ ძირითად რაიონში, საქართველოში პროფესორ შ. კერესელიძის, დ. ნასარიძის, შ. დარჯანიას, თ. ჭეიშვილის, გ. ოგანეზოვის და გ. ედიბერიძის ბეჯითი მუშაობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაის ფოთლის საკრეფი უნივერსალური მანქანა „საქართველო". ასრულდა ჩვენი ხალხის სანუკვარი ოცნება ფოთლის საკრეფი მანქანის შექმნაზე.

ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების წარმოებაში დანერგვამ უმაგალითოდ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, უზრუნველყო წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ამან განაპირობა ის დიდი ინტერესი, რასაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები იჩენენ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოსადმი".

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის მიმართულების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ წესრიგში მოიყვანონ ჩაის პლანტაციები მექანიზაციის სრულყოფილად დანერგვისათვის. ამის შედეგად ყოველწლიურად იზრდება მანქანების წარმადობა, ჩაის პლანტაციების ფართობი და მანქანათა რაოდენობა.

თუ 1963 წელს ჩაის პლანტაციებს მომსახურებას უწევდა 58 საკრეფი მანქანა, რომლებმაც 478 ჰექტარზე აიღეს 1.052 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, 1964 წელს საქართველოს რაიონებში მუშაობდა 179 მანქანა, რომლებმაც მოკრიფეს 13.137 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1965 წელს 300 მანქანით 2.361 ჰექტარზე მოკრეფილ იქნა 4.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი. სეზონის განმავლობაში თვითეულმა მანქანამ საშუალოდ მოკრიფა 13,3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. აღსანიშნავია ცნობილი მექანიზატორის, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატის სერგო აფხაზავას მიღწევა ჩაის კრეფის დარგში. სეზონის განმავლობაში მან 110 ტონამდე ფოთოლი მოკრიფა. 1966 წელს მარტო საქართველოს რაიონებში მუშაობდა 313 საკრეფი მანქანა, რომელთა საშუალებითაც 2.890 ჰექტარზე მოკრეფილ იქნა 6.336 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ცნობილმა მექანიზატორმა ილია შულაიამ ერთ დღეში 5.093 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, რითაც ჩაის კრეფის ახალი რეკორდი დაამყარა, ხოლო საყოველთაოდ ცნობილმა ჩაის კრეფის მექანიზატორმა სერგო აფხაზავამ 5.200 კილოგრამი მოკრიფა და ამით მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. უაღრესად დიდია ფოთლის საკრეფი მანქანების ეკონომიური ეფექტურობა. ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ" საშუალოდ ჰექტარზე ყოველდღიურად გამოათავისუფლა 14 მკრეფავი, ხოლო მოწინავე მექანიზატორებმა გაცილებით მეტი.

რუბრიკა **აღვნიშნავთ** 1966 **წელს** სსრ**ბო** ა**ფხაზავამ ერთ დღეში მოკრიფა 5.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ხელით კრეფის სამუალო ნორმაზე გადაყვანით გამოათავისუფლა 260 მკრეფავი.** ეს **უსათუოდ** დიდი მიღწევაა, მაღალი ეკონომიური მაჩვენებელია.

ცნობილია, რომ ამ დარგის მეცნიერთა ერთი ნაწილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" მუშაობას სკეტიკურად შეხვდა. მათი ძირითადი მოტივი ის იყო, რომ მანქანებით კრეფის შემდეგ პლანტაციებში მოსავლიანობა თითქოს დაეცვიმოდა, ჩაის ხარისხი გაუარესდებოდა. მათი ეს ვარაუდებიც არ გამართლდა. აქ მკვეთრად უნდა მივუთითოთ, რომ იქ, სადაც ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები მასობრივად მუშაობენ (ინგირის, ლაითურის საბჭოთა მეურნეობები), მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი კი არ შემცირებულა — პირიქით, გაიზარდა.

ოთხი წლის მონაცემების ეკონომიური ანალიზი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ მანქანებით კრეფისას ფოთლის მოსავლიანობა კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ამის საუკეთესო მაგალითია ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მონაცემები, სადაც პირველად დაიწყო ჩაის საკრეფმა მანქანამ მუშაობა. აი მაგალითები:

1963 წელს 1962 წელთან შედარებით ჰექტარზე 500-მდე კილოგრამით მეტი მოსავალი იქნა მიღებული, 1964 წელს 1963 წელთან შედარებით — 703 კილოგრამით მეტი, 1965 წელს — 326 კილოგრამით მეტი, ხოლო 1966 წელს 2.099 კილოგრამით მეტი. ამასთან ჩაის ხარისხიც შესამჩნევად ამაღლდა, საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება — რაც ჩაის წარმოების ძირითადი ეკონომიური მაჩვენებელია.

კვლავ მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი გახდეს ჩაის საკრეფი მანქანა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდეს ჩაის საკრეფი მანქანების გამოყენების კოეფიციენტი, ჩაის პლანტაციების ფართობი, ამი შესაბამისად ყოველწლიურად გაიზარდოს მანქანების გამომვება.

საიუბილეო წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაცილებით მეტ მანქანას მიიღებენ.

საქართველოს მეცნიერთა და მექანიზატორთა დაუღალავ შრომას ეკონომისტრმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს. ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანა „საქართველოს" შემქმნელთა ჯგუფს მიღწეული წარმატებებისათვის ლენინური პრემია მიეკუთვნა. ეს დიდი გამარჯვებაა. მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანის შექმნა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა და მექანიზატორებმა შეძლეს. ყველას ახარებს ეს გამარჯვება და უოლაცავს მარჯვენას იმ მეცნიერებსა და მექანიზატორებს, რომლებმაც შექმნეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო". ვუსურვებთ მათ ახალ-ახალ წარმატებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების და კერძოდ ქართული არომატული ჩაის სიუხვის შექმნაში.

დოცენტი ბ. ჩაბალიშვილი,

ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მთავარი რედაქტორი.

• • •



სურათზე: ჩაის კრეფს „საქართველო".

ამოვალეობა

ჩაი მეტად შრომატევადი კულტურაა. ჩაის ბუჩქების მოვლა, ნიადაგის დამუშავება და განსაკუთრებით ფოთლის კრეფა ადამიანის კოლოსალურ შრომას მოითხოვს.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში არაერთხელ დაისვა საკითხი ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის შესახებ. სახიხარულო და მოსასალმებელია, რომ ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერი მუშაკები, ინჟინერ-მექანიზატორები გულისყურით მოეკიდნენ.

დიდი ხნის ოცნებას ერთბაშად როდი შეესხა ფრთები. მეცნიერ მუშაკთა და ინჟინერ-მექანიზატორთა ერთობლივი, კოლექტიური, მონდომებული შრომით ჩაის საკრეფი მანქანა თანდათან სრულყოფილი ხდებოდა. და აი რამდენიმე წელია მეჩაიეობის რაიონების მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმატებით მუშაობს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო".

სასიხარულო და საამაყოა, რომ ასეთი გონიერი მანქანა სწორედ ჩვენში შეიქმნა. ახლა მთავარია ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა და ინჟინერ-მექანიზატორებმა უფრო სრულყონ მანქანა, ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებმა — იზრუნონ ჩაის პლანტაციების მექანიზებული კრეფისათვის მოსამზადებლად.

სიამაყის გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის შემქმნელთა ჯგუფს — პროფ. შ. კერესელიძეს, დ. ნასარიძეს, შ. დარჯანიას, თ. ჭეიშვილს, გ. ოგანეზოვს და გ. ედიბერიძეს ლენინური პრემია მიენიჭა.

გულით ვულოცავ ჩვენს თანამემამულეებს ამ დიდ ჯილდოს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებას შემოქმედებითს შრომაში.

მ. დოლაბერიძე,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი.

კომუნისტი

№.2 გვერდი, შაბათი, 22 აპრილი, 1967 წ.

გამარჯვებული მანქანა

მახარაძის რაიონის **მეჩაიეები, რომლებიც ჩაის კრეფის რესპუბლიკური გეგმის მეხუთედზე** მეტს იძლევიან, დიდ იმედებს ამყარებენ ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოზე". იგი დიდად ამსუბუქებს მეჩაიეთა მძიმე შრომას და მკვეთრად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ათიოდე წლის წინათ ასეთი მანქანის შექმნაზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. დღეს გვაქვს ჩაის საკრეფი

მიჯვრი იენაში

როგორც იტყვიან, სჯობს ერთხელ ნახო, ვიდრე ათჯერ მოისმინო. აი რატომ გვიხარია, რომ დღეს შესაძლებლობა მოგვეცა დაგვეთვალიერებინა თქვენი ქარხანა, გავცნობოდით თქვენს მიღწევებს, მეგობრულად გვესაუბრა მუშებთან და ინჟინრებთან, გაგვეგო თქვენი მომავლის გეგმები.

თქვენი ქარხანა იშის მაგალითია, თუ რის გაკეთება შეუძლიათ მშრომელებს, როცა ისინი თავიანთი საწარმოს ბატონ-პატრონები ხდებიან. თქვენი სახალხო საწარმოს პროდუქციას იყენებს არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, არამედ იგი ფართოდ ხალდება მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაშიც. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებში შედის ჩვენი ქვეყანაც.

აქ, თქვენს ქარხანაში, — განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, — თქვენს ქალაქში ბევრი რამ მომაგონებს გერმანიის მუშათა კლასის სახელოვან ისტორიას, მის ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ თავისი უფლებებისათვის, სოციალიზმისათვის. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა დღეს მოვიგონოთ, რომ იენის უნივერსიტეტში ოდესღაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო გერმანიის დიდმა შვილმა, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელმა კარლ მარქსმა“.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიუძღვნა გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიას, რომელმაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის იმპერიალიზმმა, ამ დიდად გამაცდინებლმა და დაუნდობელმა კლასობრივმა მტერმა, ვერ გაბედა გერმანელ კომუნისტთა, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის, მოწინავე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა საბრძოლო ხულისკვეთება.

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — თქვა შემდეგ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — გერმანელმა მშრომელებმა, შექმნეს რა თავიანთი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, წარმატებით გადალახეს სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი წლების სიძნელენი, როცა ქარხნები და ფაბრიკები ჯერ კიდევ ნანგრევებს წარმოადგენდა, როცა მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცება წარმოებდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში და რეაქციული ძალების წინააღმდეგობის დაძლევის პირობებში.

თავისი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის, თავისი თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის შესანიშნავი წარმატებებით, რომლის მიზანია მშვიდობის საქმის, ხალხთა თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის დაცვა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოიპოვა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც წლითიწლით მატულობს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის, ცენტრალურ ევროპაში უშიშროებისა და მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი ფორპოსტი გახდა. პატივი და დიდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელ ხალხს, რომელიც აშენებს სოციალიზმს გერმანიის მიწაწყალზე!

დღეს მხოლოდ მთლად ბეცი ადამიანები ან გერმანიის მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფოსადმი კლასობრივი სიძულვილით დაბრმავებული პირები ამბობენ, თითქოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა „არ არსებობდეს“, თითქოს სოციალიზმი „ვერ გიახარებდეს“ გერმანიის მიწაწყალზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასმა, როცა იგი მმართველი კლასი გახდა, საქმით დაამტკიცა, რომ გერმანიის მიწაწყალი, რომელიც ოდესღაც სოციალისტური იდეების აკვანი იყო, გახდა ის ნიადაგი, რომელშიც ეს იდეები, დაეუფლნენ რა მასებს, გადაიქცნენ ძლავრ მატერიალურ ძალად. ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ სოციალისტურ თანამეგობრობაში ახლა გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოც არის“.

„ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მინდა აღგითქვათ თქვენ და თქვენი სახით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომ საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კვლავაც განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საბრძოლო კავშირს, ამიერიდან ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის ურღვევი ურთიერთობით დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოების, ჩვენი ხალხების მჭიდრო თანამშრომლობას. დაე იმარჯვებდეს ჩვენი საერთო საქმე — სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობა!.

ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა თავის მოხსენებაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობაზე დიდი უურადღება დაუთმო ჩვენი სახელმწიფოების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების პერსპექტივებს. ეს დიდი, მნიშვნელოვანი საქმეა. ორივე ჩვენმა ქვეყანამ ასეთი თანამშრომლობის განვითარებას დიდი უურადღება უნდა დაუთმოს. საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ასეთი თანამშრომლობის დიდი გამოცდილება და უფრო დიდი შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ ეს თანამშრომლობა აიყვანონ ახალ, უფრო სრულყოფილ საფეხურზე.

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის დონე მაღალია — და ეს გვახარებს. მაგრამ მოდით, ამხანაგებო, გადავხედოთ მომავალს. და მაშინ ვნახავთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თვისებრივი ცვლილებანი ახალ პორიზონტებს უსახავენ ჩვენი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას. სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარების კანონები მოითხოვენ, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების დარგში, ერთობლივი მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის განხორციელებაში, ნებაყოფლობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებაში“.

შემდეგ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და მუშაობას, რომელიც ემზადება საზეიმოდ აღნიშნოს საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი იუბილე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი; მან თქვა, თუ რა წარმატებები მოიპოვეს სსრ კავშირის მშრომელებმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში.

„საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს მსოლოდ ერი რამ სურთ: მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ახალი, ბედნიერი ცხოვრების შენებლობას, სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობას. განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა. ამიტომ ყველა ჩვენგანისათვის საჭიროა მტკიცე მშვიდობა. აი რატომ არის, რომ მსოფლიო სოციალიზმის წინაშე დგას პირველხარისხოვანი ამოცანა — წინააღუდგეს იმპერიალისტური რეაქციის ძალებს, თავიდან აიცილოს ხალხებს მსოფლიო ომის საფრთხე.

ახლა საერთაშორისო ვითარება საკმაოდ რთულია. ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ აძლიერებენ აგრესიულ ომს მცირე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები თავიანთი სამხედრო დანაშაულობებით დაუპირისპირდნენ ყოველივე იმას, რაც კი მოწონავე, პატიოსანი; მშვიდობისმოყვარეა დედამიწაზე.

ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა, რა თქმა უნდა, გმირობაა, რომლის მსგავსსაც ბევრს როდი ნახავთ ისტორიაში. ოც წელზე მეტია იბრძვის ეს ამაყი, მამაცი ხალხი, იცავს თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას უცხოელ დამპყრობთაგან. ვიეტნამელი ხალხის ვაჟკაცობა და გულადობა უდიდესი პატივისცემის ღირსია. ვიეტნამელი ხალხი აი უკვე მერამდენე წელია არა მარტო უძლებს ამერიკელ იმპერიალისტთა შეტევას, არამედ ურტყამს კიდეც მათ, საგრძნობ ზარალს აყენებს გათავხედებულ ბანდიტებს.

აგრესორთა წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისათვის მებრძოლი ვიეტნამელები ეურნდნობიან არა მარტო მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მორალურ მხარდაჭერას, არამედ მოძმე სოციალისტური ქვეყნების პირდაპირ აქტიურ დახმარებასაც — პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას. იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ დაიმონებენ ვიეტნამელ ხალხს! მისი სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს — ასეთია ისტორიის უცილობელი კანონი“.

„ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მშვიდობის საფუძვლების განსამტკიცებლად ევროპაში, სადაც ჯერ კიდევ ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის სამხედრო კონფლიქტის საფრთხე, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ვერ შევუერიგდებით რაინზე მილიტარისტული და ნეონაცისტური ძალების აღორძინებას, რომლებიც ლამობენ მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზიას და ეკოტინებიან ატომურ იარაღს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საიმედოდ იცავს თავის რევოლუციურ მოპაპოვრების კლასობრივი მტრების ხელყოფისაგან. გერმანიის სოციალისტური სახელმწიფო მთელ მსოფლიოს უჩვენებს ახალი გერმანიის მაგალითს, რომელმაც სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი მილიტარიზმთან და ევროპის ყველა ხალხის მეგობარი გახდა. ამით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპაში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. გერმანელ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკასთან ერთად, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებთან ერთად საბჭოთა კავშირი მტკიცედ დგას სოციალისტური თანამეგობრობის საზღვრების, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუვალობის სადარაჯოზე.

ეს არ უნდა დაივიწყონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც გულში ატარებენ ევროპაში მშვიდობისათვის ძირის გამოთხრის გეგმებს, სურთ გადააკეთონ იგი თავიანთ, რევანშისტულ ყაიდაზე. ამ ვაჟბატონებს ჩვენ პირდაპირ უნდა ვუთხრათ: ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ ძალთა ახლანდელი თანაფარდობა თქვენ მხოლოდ ერთ გონივრულ გზას გიტოვებთ — ცნოთ მეორე მსოფლიო ომის შედეგები, ცნოთ ევროპაში არსებული საზღვრები, ცნოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთხელ და სამუდამოდ თქვათ უარი ატომური იარაღის ხელში ჩაგდების ცდებზე.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არიან ხალხ მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც ესმით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მხოლოდ მაშინ დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპის ხალხმწიფოთა ოჯახში, თუ ხელს აიღებს რევანშისტულ ილუზიებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ისინი როდი განსაზღვრავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას. ხოლო იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ბონის სახელმწიფო საჭესთან დგანან, ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ დადგა დრო ეს საკე მოატრიალონ გონიერების კურსისაკენ. ჯერ კიდევ ფრიდრიხ ენგელსი ტაუილად როდი ამბობდა, გერმანიის ბურჟუაზიის უბედურება ის არის, რომ იგი მუდამ და ყველგან იგვიანებსო.

დღეევანდელ ევროპაში არის იმის კარგი შესაძლებლობანი, რომ შეიქმნას საერთაევროპული უშიშროების საიმედო სისტემა, მოგვარდეს მშვიდობიანი თანაშრომლობა ყველა სახელმწიფოს შორის, აილაგმონ ომის ძალები, დამყარდეს მტკიცე მშვიდობა. სწორედ ამას ისახავს მიზნად სოციალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომელსაც გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ საზოგადოებრიობისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა სულ უფრო ფართო წრეები ევროპის კაპიტალისტურ ნაწილშიც.

ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის ძალაა შეკავშირება და მოქმედების ერთიანობა. ერთობლივი ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ჩვენი საერთო იდეალების განხორციელებისათვის. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები ბეჯითად მუშაობენ ჩვენი ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, იმპერიალისტური აგრესიის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი მეცადინეობის შეთანხმებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.“

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დღეგრძელობა უსურვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას. „დაე მტკიცდებოდეს ჩვენი ერთიანობა და შეკავშირება მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის!“ — თქვა მან.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა

გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის მეომრებს

ბერლინი, 20 აპრილი. (საკდესი). გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა დღეს გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის ერთ-ერთი ნაწილის მეომრებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრამ, რომელიც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობაზე.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე შეკრებილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების წინაშე.

შეხვედრას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. მიტაკი, სკკპ დელეგაციის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტი [illegible] ფელფერი, [illegible] ალექსანდრ ალექსანდროვიჩ [illegible] ბერლინის [illegible] ბ. ა. აბრასიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პარტიის დელეგაციას გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი არმიის გენერალი პ. გ. კოშევოი, გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ს. პ. ვასილაგინი.

მტკიცდება და ვითარდება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა

პრეს-კონფერენცია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის კვირეულისადმის მზადებასთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი ვალტერ ჰენც�d.

21 აპრილს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გ. ჰენცმა ილაპარაკა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობის მუშაობაზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებზე. სამეურნეო, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარი საუკუნის იუბილეს წელს, — თქვა ამხ. ჰენცმ, — მთელი მსოფლიოსათვის ცხადია, რომ სოციალიზმის გზას გერმანელებიც დაადგნენ. საბჭოთა კავშირთან მეგობრობამ დიდმნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა. ეს მეგობრობა გვიწევდა და კვლავ გვიწევს უდიდეს დახმარებას და ამრავლებს ჩვენს ძალებს გერმანიის ისტორიაში პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისა და ბრძოლის ნაყოფიერ სკოლად ქცევაში.

ჰენცმ დიდხანს ილაპარაკა იმაზე, თუ რა თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მშრომელებს ევროპის კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლაში დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის, რევანშიზმისა და ნეონაცისტების ხიშიში კერის წინააღმდეგ, ბრძოლაში ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

ვალტერ ჰენცმ კითხვებზე უპასუხა რესპუბლიკური, საქალაქო გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს. ჟურნალისტებს დაურიგეს სხვადასხვა მასალები, რომლებიც ასახავენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური პარტია ადრე თუ გვიან დაძლევენ ახლანდელ პოლიტიკურ კრიზისს და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ერთად ჩიხეთი კვლავ ჩაგა ინტერნაციონალური სოლიდარობის ეზით იმპერიალისტთა და სოციალიზმის მტერთა მტრული მოქმედების წინააღმდეგ.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა და საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში კომუნისტური მოძრაობა განუხრელად მიდის წინ.

თუ 1917 წელს დედამიწაზე არსებობდა ერთადერთი კომუნისტური პარტია — ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტია, აწი მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც არ მოქმედებდნენ მარქსისტულ-ლენინური პარტიები ან ჯგუფები. კომუნისტთა საერთო რაოდენობა ხუთ ათეულ მილიონს აღწევს.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები ლენინური პარტიის საუკეთესო ტრადიციებს განმტკიცებენ არაან. ისინი თავიანთ პოლიტიკას განუყრელად უკავშირებენ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანების განხორციელებას თვითეული ქვეყნის ისტორიული და ეროვნული თავისებურების გათვალისწინებით. სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიები ერთმანეთისაგან სწავლობენ და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ისინი არა მარტო პროპაგანდას უწევენ სოციალიზმის დიად იდეალებს, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებენ მათ.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი ხელს უწყობენ კომუნისტური პარტიების ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ყველა ქვეყანაში კომუნისტები გამოდიან როგორც სოციალისტური იდეოლოგიის წარმომადგენლები, რაზმავენ მასებს მეენერული სოციალიზმის დროშის ქვეშ. რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში დგას საფრანგეთის კომუნისტური პარტია. ბრძოლის დიდი გამოცდილება შეიძინა, მასობრივი და კავლენიანი გახდა იტალიის კომუნისტური პარტია, რომლის რიგებში თითქმის 2 მილიონი კაცია. კომუნისტურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ლათინური ამერიკის უმრავლეს ქვეყნებში. გრძელდება თანამოაზრე მარქსისტ-ლენინელთა გაერთიანება აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ.

ლენინის უკვდავი იდეები ამომავალ მზესავით კაშკაშა შუქით გზას უნათებენ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში.

დ. მაისურაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

მე-3 გვერდი, შაბათი,
22 აპრილი, 1967 წ.

ა რ ა ბ თ ა გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ბ ჭ ო ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ა ბ ა ნ ა ბ

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი ამ დღეებში

აქ ყველაფერი დიდ ლენინზე მეტყველებს: მისი რევოლუციური მუშაობის დასაწყისზე. შეუპოვარ. ბრძოლებზე, გენიალურ შრომებზე, მის დიდ ადამიანობაზე, მეგობრობაზე. ექსპოზიცია, რომელშიც ლენინური დოკუმენტების საფუძველზე გაშუქებულია ჩვენი პარტიის ისტორია, საოლუსტრაციო მასალების სიმრავლე ხელს უწყობს დამთვალიერებლებს მასალის უფრო ადვილად შეთვისებაში.

მუზეუმის მდიდარი ექსპოზიცია საშუალებას იძლევა საექსკურსიო ჯგუფებმა მოისმინონ როგორც საერთო მიმოხილვითი, ისე თემატური ლექციები პარტიის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე პეროდიზაციის შესაბამისად. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენთან დიდი რაოდენობით მოდიან რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მშრომელები, აგრეთვე ტურისტული ჯგუფები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან.

მუზეუმს ლენინის დღეებთან დაკავშირებით შეემატა ახალი დარბაზი „ლენინი და ბავშვები", სადაც საუბრებს დიდი ინტერესით ისმენენ ჩვენი მოსწავლეები. მუზეუმის ლექტორები ქ. გიორგობიანი, ა. ციციშვილი, ი. შენგელაია, გ. ხუნდაძე, მ. გეგეჭკორი საინტერესო საუბრებს ატარებენ სკკპ ისტორიიდან.

ლენინის დღეებთან დაკავშირებით წითელ დარბაზში ასობით იღებენ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში ახალ წევრებს. მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდობა აქ ხვდებიან ძველ რევოლუციონერებს, ლექციების მოსმენის შემდეგ საექსკურსიო ჯგუფები ისმენენ მოგონებებს რევოლუციურ წარსულზე.

ამ დღეებში ლენინის რაიონის 500-მდე მუშა და მოსწავლე ახალგაზრდა შეხვდა ძველ ბოლშევიკებს: პენსიონერ ფენია გეგეშიძეს, არჩილ გიორგაძეს, სერგო ბერაძეს (უნივერსიტეტის პროფესორი) და სამამულო ომის ვეტერანს გენერალ-მაიორ ერმალო კობერიძეს. შეხვედრა ამალელვებელი იყო აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონში. მოსწავლე ახალგაზრდობა შეხვდა ძველ ბოლშევიკებს დავით ლომაძეს, პენსიონერ ლიუდმილა ჩესნოკოვას, რომლებიც საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ.

ჩინებულად იყო ორგანიზებული ოფიცერთა სახლში შეხვედრა. ძველ ბოლშევიკებთან გიორგი გულიევერდაშვილთან, თეოდორე შავიშვილთან, ლიუდმილა ჩესნოკოვასთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდნენ შრომის გმირები ვასილ პაპინაშვილი, გურამ ჩადუნელი, ეთერ სოლომონია.

18.000 კაცმა დაათვალიერა ვ. ი. ლენინის მუზეუმი აპრილის ამ დღეებში.

ქ. ქორიძე.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საექსკურსიო ბიუროს გამგე.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. **სურათზე:** ექსკურსანტები ეცნობიან დიდი ბელადის ცხოვრების ექსპონატებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲨᲔᲔᲠᲘᲥᲔᲔᲯᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲖᲔᲘᲗᲔ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ მხოლოდ დაბგასთან, გაკარკარებულ ღუმელთან ან მინდვრად და ბაღ-ეენახში როდი მრომობს. ადამიანი შრომობს მაშინაც, როცა თავის სამუშაო ადგილს ცოლდება.

ხშირად ასეც ხდება: სამუშაოს დამთავრების შემდეგ მეგობრები ქუჩის ფეხით გაუყვებიან, საუბრობენ ხვალინდელ დღეზე, მომავლის გეგმებზე, კამათობენ განვლილ დროში შესრულებულ სამუშაოებზე. ამ საუბარში, მეგობრულ კამათში იბადება ახალი აზრი.

...მეცნიერ-მუშაკთა ერთობლიებმა შრომამ შექმნა საუცხოო მანქანა „საქართველო". ადამიანის გონებამ ღრუბონი ისე დაიმორჩილა, რომ თავის ნებაზე ამოქმედებს, ჩაის პლანტაციებში სათუთ ფოთოლს აკრეფინებს. ეს საოცარი მანქანა შექმნეს ჩვენმა თანამემამულეებმა შ. კერესელიძემ, შ. დარჯანიამ, გ. ედიბერიძემ, დ. ნახარიძემ, გ. ოგანეზოვმა, თ. ჭეიშვილმა. სასიხარულო და მისასალმებელი!

უხარიათ მეჩაიეებს, რომ მძიმე შრომა შეუმსუბუქდათ, უხარია დეამაყება ყველა მშრომელს, რომ ეს მანქანა ჩვენში დაიბადა.

აი ისინი, შესანიშნავი მანქანის შემქმნელები. შემოქმედებითი შრომის შემდეგ ქუჩაში მოდიან. მოდიან და თან კამათობენ. მათი საუბრის თემა „საქართველოა". ამ მეგობრულ კამათში იბადება ახალი აზრი. სრულდება დიდი ხნის ნოაცნებარი.

კაბინეტ-ლაბორატორიებიდან მათს ნაბიჯებს ხოცი ქარხანაში შეესხა, აიწყო ახალი საცდელი მანქანა. ამის შემდეგ ჩაის პლანტაციებში გადაინაცვლეს მეგობრებმა, აკვირდებოდნენ. ცდიდნენ, აზუსტებდნენ, კვლავ კაბინეტ-ლაბორატორიებში შრომობდნენ. თვეს თვე მისდევდა, წელს წელი — და ასე თანდათანობით შრომაში იქმნებოდა რესპუბლიკის სიამაყე — ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო"!

დაფასდა შრომა. ლენინური პრემია დაიმსახურეს სახელოვანმა მეცნიერებმა. დიდება თქვენს შრომას, მეგობრებო!

სურათზე: მარცხნიდან — დ. ნასარიძე, შ. დარჯანია, შ. კერესელიძე, თ. ჭეიშვილი, გ. ოგანეზოვი და გ. ედიბერიძე.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ი. მღებრიშვილისა

(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ — ᲓᲘᲐᲓ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

გუშინ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტით გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

პლენუმზე წარმოდგენილი იქნება ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲘᲡᲘᲡ" კორესპონდენტი ზ. რცხილაძე ეწვია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს, სსრკ სახალხო არტისტს, კომპოზიტორ **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲮᲐᲞᲐᲠᲘᲐᲜᲡ** და სთხოვა ეამბნა პლენუმის მუშაობის შესახებ.

— სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმები კარგ ტრადიციად იქცა. თბილისში ეს პირველი პლენუმი არ არის და ამასაც უკვე თავისი მნიშვნელობა აქვს. თუ წინათ პლენუმების მუშაობას გარკვეული ხარვეზები ჰქონდა, ამჯერად გაგითვალისწინეთ წინანდელი გამოცდილება და შედარებით უფრო მომზადებულნი შევხვდით.

გარდა თბილისისა, წარსულში პლენუმები ჩავატარეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და ამით კომპოზიტორთა კავშირმა ძალიან სასარგებლო საქმე გააკეთა რესპუბლიკაში პროფესიული მუსიკის განვითარებისათვის. გასულითა პლენუმები იყო ქუთაისში, ბათუმში, თელავში და სხვა ქალაქებში.

პლენუმის მუშაობისას ქართველი საზოგადოებრიობა ეცნობა ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებას, მათს ახალ ნაწარმოებებს. ეს სასარგებლო შეხვედრები ხშირად დისკუსიურ ხასიათსაც ატარებს. პლენუმის მუშაობისას აზრთა გაზიარებაში და კამათში მონაწილეობენ არა მარტო კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები, დირიჟორები და შემსრულებლები, არამედ არაპროფესიული მსმენელებიც, რომელთა აზრსა და სურვილებს სიამოვნებით უსმენენ ჩვენი კომპოზიტორები.

მიმდინარე პლენუმს თავისი მკვეთრად განმასხვავებელი ნიშნები აქვს. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება მნიშვნელოვან ფაქტს — პლენუმი ეძღვნება ჩვენი სახელმწიფოს დაარსების ორმოცდამეათე წლისთავს. საიუბილეო წელი დიდ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო ჩვენს მუსიკოსებს, არამედ მთელ ჩვენს ხელოვნებას. ამიტომ, ცხადია, ჩვენი კომპოზიტორებიცა და მუსიკოს-შემსრულებლებიც უფრო რთული გამოცდის წინაშე დგანან. ახალმა დრომ ახალი შემოქმედებითი პრეტენზიები წაუყენა ჩვენს მრავალრიცხოვან-ოჯახს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი ტექნიკის, პროგრესის ნაბანი ხალხის გემოვნებაცა და ცოდნაც ისე სწრაფად ვითარდება, როგორც ახალ დროსა და ხანას შეეფერება. ის, რაც ხალხს მოწონდა სულ რამდენიმე წლის წინათ, ამჟამად მას გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს. ამიტომ იგი ელის ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც არა მარტო მუსიკალური მინაარსით, არამედ წმინდა ტექნიკური დამუშავების თვალსაზრისით მსოფლიოს მოწინავე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს სიმაღლეზე იქნება.

რადიოსა და ტელევიზიის განვითარების ხანამ, როცა თვით ჩაწერის ტექნიკამაც ძალიან ბევრ სახელმწიფოში დიდ წარმატებებს მიაღწია, დამატებითი სიძნელეები შეუქმნა კომპოზიტორებს, და ეს მოვლენა ეხება არა მარტო ქართველ კომპოზიტორებს, არამედ მუსიკის ყველა მოღვაწეს მთელ მსოფლიოში.

რა თქმა უნდა, ყველა ამ მოთხოვნამ ახალი კადრების აუცილებლობა მოითხოვა. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით კარგი მდგომარეობაა. სასიხარულოა, რომ წლევანდელ პლენუმზე ქართული მუსიკა წარმოდგენილი იქნება ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებიც ამ ახალი და თანამედროვე შემოქმედების ავანგარდში დგანან და საკმაოდ დაოსტატებულად გვევლინებიან.

ამის დასტურია ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებთა მრავალრიცხოვანი გადაცემები, კონცერტები, რომლებიც ეწყობა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

დღეს საბჭოთა ადამიანის სულიერი და კულტურული სამყარო უშუალოდ წარმოუდგენელია. „ამიტომაც მუსიკალურმა აღზრდამ ჩვენს ცხოვრებაში უფრო საგულისხმო ადგილი დაიჭირა.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმს წინ უძღოდა რესპუბლიკის მუსიკალურ სასწავლებელთა დათვალიერება. ეს უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს იმ დიდ ყურადღებას, რომელიც ეთმობა ამ ბოლო წლებში პროფესიული მუსიკის ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და მათს მომავალ დაოსტატებას. დათვალიერებამ ცხადყო, რომ მოდის ახალი ცვლა, რომელიც თანამედროვე ცოდნით არის შეიარაღებული, და ბევრ მათგანს ახლო მომავალში შემოქმედთა პირველ რიგებში ვიხილავთ. ყველა ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მსმენელს, საბჭოთა ადამიანს კარგი მუსიკალური ნაწარმოებები არ მოაკლდება.

წლევანდელ პლენუმს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი აქვს და ეს, ჩემი აზრით, საგულისხმო ფაქტია. რესპუბლიკის პლენუმების ისტორიაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას საესტრადო მუსიკის წარმომადგენლები. მოგუსმენთ საქართველოს საესტრადო ორკესტრს „რეროს".

პლენუმს ესწრებიან ცნობილი მუსიკისმცოდნეები, კომპოზიტორები. მათ შორის შევხვდებით მოსკოველ მუსიკათმცოდნეს მ. საბინინას, ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკის" მთავარ რედაქტორს ვ. გროშევას, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მდივანს ვ. სავინოვს, აგრეთვე სტუმრებს მოძმე რესპუბლიკებიდან.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ — ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

მოსკოვი, 20 აპრილი. (საქდესის კორ.). 20 აპრილს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმი, რომელიც მიეძღვნა საკითხს, თუ როგორ შეხვდებიან საბჭოთა კავშირის ფიზკულტურული ორგანიზაციები სახელოვან იუბილეს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

პლენუმზე მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ უკრაინის სსრ ფიზკულტურული ორგანიზაციები და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ტრუდი" (რუსეთის სფსრ) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახებ. ეკაკეთეს უკრაინის კავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ᲙᲘᲚᲘᲯᲜᲘᲩᲘᲜᲐ და „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ᲗᲔᲓᲝᲠᲔᲜᲙᲝᲛᲘ. მოხსენებათა გამო გაიმართა აზრთა ცხოველი გაზიარება. მიღებულია ვრცელი დადგენილება.

პლენუმზე სიტყვები წარმოთქვეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა Ა. ᲩᲘᲡᲜᲐᲕᲘᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ Ი. ᲛᲐᲨᲘᲜᲛᲐ.

ᲤᲘᲜᲘᲨᲘᲡ ᲡᲘᲛᲙᲐᲪᲠᲔ

სტოკჰოლმი მიმდინარეობს მსოფლიოს პირადი პირველობის გადამწყვეტი შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში. ჩემპიონატზე შედარებით უკეთესად გამოდიან ქალები, მათ შორის პირველ რიგში მოსკოველი **ზ. რუდნოვა.** მეხუთე ტურში **ზ. რუდნოვამ** დაამარცხა უნგრელი **ე. კოციანი** 3:1, ხოლო მეოთხედფინალში პაექრობა ჰქონდა რუმინელ **მ. ალექსანდრუსთან.** აქაც წარმატება ჩვენს ჩოგბურთელს ხვდა 3:0. **ზ. რუდნოვა** ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ აქ დამარცხდა იაპონელ **ნ. ფუკაზუსთან** 0:3.

ამრიგად, როგორც ქალთა ისე ვაჟთა ფინალისტები იაპონელები არიან.

ჩვენი ქალთა წყვილებიდან ჯერჯერობით წარმატებით გამოდის **რუდნოვა** და **გრინბერგი.** ვაჟთა წყვილებიდან დაფინალდნენ **ამელინი** და **გომოზოვი,** რომლებმაც მეოთხედფინალში დაამარცხეს ინგლისელები **ბარნსი** და **ნილი.**



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა გამოაცხადა ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რესპუბლიკური კონკურსი. ხალხური შემოქმედების სახლს მოსდის სხვადასხვა კუთხიდან საკონკურსო მასალები, რომელთა ავტორები არიან კოლმეურნეები და მუშები, სოფლისა და ქალაქის ინტელიგენცია.

მაგრამ, იმის გამო, რომ 1 ივნისს თბილისში იხსნება ხალხური სახვითი ხელოვნების გამოფენა, კონკურსის ჟიურიმ საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ლ. გუდიაშვილის ხელმძღვანელობით გადაწყვიტა კონკურსი მოაწყოს ამ გამოფენის დროს.

(საქდესი).

ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲖᲔ. ფოტოეტიუდი ნ. ანასტასიევისა.

55 ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

რუმინულმა ჟურნალმა „ფუტბოლმა" გამოაქვეყნა ევროპის 55 საუკეთესო ფეხბურთელის სია. თვითეულ ადგილზე დასახელებულია 5 უძლიერესი მოთამაშე ბრაზილიური 4+2+4 სისტემის მიხედვით.

მეკარეები: ბენქსი (ინგლისი), იაშინი (საბჭოთა კავშირი), სარტი (იტალია), ვიქტორი (ჩეხოსლოვაკია), ირობარი (ესპანეთი).

მარჯვენა მცველები: კაპოსტა (უნგრეთი), ლალა (ჩეხოსლოვაკია), კოენი (ინგლისი), ლუტეი (გერ), ბორგანინი (იტალია).

მარჯვენა ცენტრალური მცველები: შულეი (გერ), პიკი (იტალია), პოპლუხარი (ჩეხოსლოვაკია), ჯ. ჩარლტონი (ინგლისი), შესტერნიოვი (საბჭოთა კავშირი).

მარცხენა ცენტრალური მცველები: მორი (ინგლისი), ეოროვინი (საბჭოთა კავშირი), ვალტერი (გერ), ბუბინსკი (საფრანგეთი), დანი (რუმინეთი).

მარცხენა მცველები: ფაკეტი (იტალია), შნელინგერი (გერ), ჰილარიო (პორტუგალია), ვილსონი (ინგლისი), ფეტერი (შვეიცარია).

მარჯვენა ნახევარმცველები: ბეკენბაუერი (გერ), ლოუ (შოტლანდია), მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია), გერგელი (რუმინეთი), სტაილსი (ინგლისი).

მარცხენა ნახევარმცველები: ჩ. ჩარლტონი (ინგლისი), კოსსი (იტალია), კოლუნა (პორტუგალია), საბო (საბჭოთა კავშირი), დობრინი (რუმინეთი).

მარჯვენა გარემაბები: ბოლი (ინგლისი), ბენე (უნგრეთი), პირკალაბი (რუმინეთი), ჩისლენკო (საბჭოთა კავშირი), ამანციო (ესპანეთი).

მარჯვენა ცენტრალური თავდასხმელები: ფისეგიო (პორტუგალია), ალბერტი (უნგრეთი), მაცოლა (იტალია), კროიფი (ჰოლანდია), ზალერი (გერ).

მარცხენა ცენტრალური თავდამსხმელები: ჰერსტი (ინგლისტორესი (პორტუგალია), ფარაგო (უნგრეთი), დანიელსენი (შვეიცარია), ასპარუხოვი (ბულგარეთი).

მარცხენა გარემაბები: ჰენესი (ინგლისი), კოლეირი (ჰოლანდია), ბარკეიროი (საბჭოთა კავშირი), სიმოესი (პორტუგალია) ჰენტო (ესპანეთი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲐᲠᲔᲑᲐ

ბრძოლდება სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. იაროსლავლში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შინიკი" და სიმფეროპოლის „ტავრია". წარმატება სტუმრებს ხვდათ 1:0. „შინიკი" გამოვიდა თასისათვის მებრძოლთა რიგებს.

მეგრეკის ჩემპიონატი ფეხბურთში იუნიორთა გუნდებისათვის გაიხსნება 5 მაისს თურქეთში. სხვებთან ერთად შეიჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებსაც 23 აპრილიდან ლუჯნიკში ერთკვირიანი შეკრება აქვთ ჩატარებული. უკვეს ბაკიბრაგზე არბიტრად მიიწვია საბჭოთა მსაჯი ტ. ბაბრამოვი.

დღეს მოსკოვში გაიხსნება დიდი ფეხბურთის სეზონი. დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულები ძველი მეტოქეების — მოსკოველ „დინამოსა" და „სპარტაკის" მატჩის მოწმენი იქნებიან. დინამოელები ჩემპიონატს ლიდერები არიან, სპარტაკელები — აუტსაიდერები. ამ მატჩის მეორე ნახევარი ტელევიზიით ნაჩვენები იქნება 21 საათზე თბილისის დროით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

პარიზი, 21 აპრილი. (საკდესი). ცნობილ ფრანგ მწერალს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ყოფილ გენერალურ მდივანს ჟან ლაფიტს გუშინ გადაეცა ფრედერიკ ჟოლიო კიურის „მშვიდობის ოქროს მედალი". ჟ. ლაფიტს ეს ჯილდო მიენიჭა მშვიდობისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

ᲣᲢᲐᲜᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს აზიის ქვეყნებში მოგზაურობიდან ნიუ-იორკს დაბრუნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი. როცა ჟურნალისტებს შეხვდა, უ ტანმა განაცხადა, რომ აზიის ქვეყნების ხელმძღვანელებს ყველაზე ნეტად ვიეტნამის პრობლემა აწუხებთ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲩᲐᲠᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 21 აპრილი. (საკდესი). ᲒᲣᲨᲘᲜ აქ დაიბარა სეატოს საბჭოს მორიგი სესია. რომელიც ეხებოდა ახალ ინდოეთს, ბაგანეთ-მინისტრის მოწოდების პასუხად არმიამ ხელში აიღო კონტროლი. დასავლეთის საინფორმაციო საგენტოები გვაუწყობენენენ, რომ 4 საათსა და 40 წუთზე გრინვიჩის დროით (7 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) ათენის სამხედრო რადიოსადგურმა გადასცა სამხედრო ხელისუფალთა ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია, რომ არმიამ ეს ღონისძიებანი განახორციელა „შინაგანი უშიშროების დასაცავად". ბრძანებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ „დროებით უქმდება" კონსტიტუციის ზოგიერთი დებულება. მოსახლეობას ნაბრძანები აქვს ქუჩებში არ გამოვიდეს. საფონდო ბირჟა იხურება. აკრძალულია ოქროს ყიდვა და სურსათის მომარაგება.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

პარიზი, 21 აპრილი. (საკდესი). ცნობილ ფრანგ მწერალს, ჟან ლაფიტს, ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალურ ბიულეტენში, ბრალად ედება „საბრალო ბალეტ-ოპერა" ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებიდან ფასეულ ნაბეჭდ ნაწარმოებთა ფარული ფასეულობა. ეს ბალეტ-ოპერა ეკუთვნოდა ბალეტ-ოპერა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებიდან ფასეულ ნაბეჭდ ნაწარმოებთა ფარული ფასეულობა. ეს ბალეტ-ოპერა ეკუთვნოდა

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 21 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ დაიბარა სეატოს საბჭოს მორიგი სესია. რომელიც ეხებოდა ახალ ინდოეთს, ბაგანეთ-მინისტრის მოწოდების პასუხად არმიამ ხელში აიღო კონტროლი. დასავლეთის საინფორმაციო საგენტოები გვაუწყობენენენ, რომ 4 საათსა და 40 წუთზე გრინვიჩის დროით (7 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) ათენის სამხედრო რადიოსადგურმა გადასცა სამხედრო ხელისუფალთა ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია, რომ „დროებით უქმდება" კონსტიტუციის ზოგიერთი

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 21 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ დაიბარა სეატოს საბჭოს მორიგი სესია. რომელიც ეხებოდა ახალ ინდოეთს, ბაგანეთ-მინისტრის მოწოდების პასუხად არმიამ ხელში აიღო კონტროლი. დასავლეთის საინფორმაციო საგენტოები გვაუწყობენენენ, რომ 4 საათსა და 40 წუთზე გრინვიჩის დროით (7 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) ათენის სამხედრო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲩᲐᲠᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 21 აპრილი. (საკდესი). ᲒᲣᲨᲘᲜ აქ დაიბარა სეატოს საბჭოს მორიგი სესია. რომელიც ეხებოდა ახალ ინდოეთს, ბაგანეთ-მინისტრის მოწოდების პასუხად

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

პარიზი, 21 აპრილი. (საკდესი). ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲤᲠᲐᲜᲒ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲡ ᲯᲐᲚᲐᲤᲘᲢᲡ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲯᲐᲚ ᲚᲘᲝᲤᲘᲢᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 21 აპრილი. (საკდესი). ᲒᲣᲨᲘᲜ აქ დაიბარა სეატოს საბჭოს ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲩᲐᲠᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 21 აპრილი. (საკდესი). ᲒᲣᲨᲘᲜ